ვამტკიცებ:
ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია
ბიდისის დირექტორი
ნათია შათირიშვილი,
ბრძ. N 70, 17.11.2025 წ

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია „ბიდისი“

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და ცვლილებების შეტანის წესი

ქ. თბილისი

2025

მუხლი 1. მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავების პროცედურა

1.1.პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (დამსაქმებელი, აკადემიის თანამშრომელი, სახელმწიფო უწყება და სხვ.);

1.2.პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება მისი მოთხოვნადობის გათვალისწინებით, შესაბამისი კვლევის ან დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე;

1.3.პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხელმძღვანელობით სამუშაო ჯგუფთან ერთად;

1.4.სამუშაო ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ: პროფესიული განათლების მასწავლებლები, პარტნიორი ორგანიზაციისს წარმომადგენლები, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროგრამებისა და პრაქტიკის ხელმძღვანელები და სხვა დაინტერესებული პირები;

1.5.პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას თუ ის არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს აკადემიას, თან უნდა ახლდეს დასაბუთება პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის საჭიროების შესახებ;

1.6.პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას ამტკიცებს აკადემიის დირექტორი.

მუხლი 2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების წესი

2.1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N 59/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად;

2.2. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს აკადემიას, სწავლის შედეგების მიღწევისათვის მსმენელის სასწავლო დატვირთვა ლოგიკურად უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური შედეგებისათვის გათვალისწინებულ დატვირთვას, რაც არ გამორიცხავს მცირედ ცვლილებას;

2.3. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს აკადემიას, აკადემია

ვალდებულია პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს შესაბამის მოდულზე დასწრების პირობები;

მუხლი 3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილებების შეტანა

3.1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

3.2. თუ პროფესიული მომზადებისა ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას და პროფესიულ პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, აკადემია ვალდებულია მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე განახორციელოს პროგრამაში ცვლილება და აცნობოს ამის შესახებ ს(ს)იპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

3.3. თუ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება ახალი მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, პროგრამაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე ს(ს)იპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

3.4. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით;